1. Н. М. Туркевич, Е. М. Самунджан. Гормоны и канцерогенез. Киев, 1975.
2. А. П. Савинская. Автореферат докт. дисс. М., 1975.
3. И. Н. Димант, А. А. Исраелин, Г. М. Локтионов, М. М. Сатаев. Бюл. exper. биол. и мед., № 3, 1968, 98—100.
4. Т. Т. Березов, С. С. Буробина, Н. А. Спрышкова, Р. И. Алексеева. Вопросы мед. химии, № 4, 1975, 359—363.
5. W. Shapiro, I. Posner. Arch. Neurol. № 30, 1974, 217—221.
6. Ю. А. Воробьев. Труды Крымского мед. ин-та, № 51, 1973, 31—33.
7. I. Allen, R. Eldridge, S. Koerber. Am. J. Obstet. Gynecol. 4, 119, 1974, 516—520.
8. R. Brandt, R. Carvalho. Arg. Neuro-psiquiat., 32, 4, 1974, 319—327.

Д. Г. ДЖИГАУРИ, Л. Т. ЧЕЛИДЗЕ, Б. Д. КАРАШВИЛИ

К ПАЛИНОЛОГИЧЕСКОЙ ХАРАКТЕРИСТИКЕ ГОДЕРДСКОЙ СВИТЫ

(Представлено академиком Л. К. Габуния 12.1.1977)

В основании комплекса континентальных эффузивных образований Южной Грузии отчетливо различается мощная серия вулканогенно-осадочных и лавовых образований, несогласно перекрывающая разные горизонты верхнего мела и палеогена, именуемая в литературе годердзской, или кисатибской, свитой. Образования этой свиты занимают обширные площади на Арсианском и Абул-Самсарском хребтах, Эрუшетском нагорье и в Ахалцихской депрессии. Они слагают основания Джавахетского (Кечутского) и Гектапинского хребтов, а также Ахалкалакского лавового плато. По литолого-фациальным признакам она подразделяется на две толщи: нижнюю — туфообломочную, состоящую из андезитовых и дацитовых пирокластолитов (от грубообломочных брекчий и конгломератов до пелитовых пепловых туфов) с внутрiformационными покровами лав того же состава и, реже, базальтов (в основании), и верхнюю — лавовую, сложенную главным образом покровами андезитов, дацитов и риолитов. Вопреки представлениям некоторых исследователей [1, 2], мы, вслед за Н. И. Схиртладзе [3], образования туфообломочной и лавовой толщ объединяем в одну литолого-стратиграфическую свиту, относим их к одному крупному вулканическому циклу, проявившемуся на юге Грузии и в смежных с ней областях в конце миоцена и завершившемся в начале плиоцена.

Годердзская свита бедна ископаемой фауной. Вместе с тем, в диатомитовых пластах и в туфогенных отложениях озерно-аллювиального происхождения, слагающих отдельные слои и пачки, в северной периферической части Южно-Грузинской вулканической области обильно содержится хорошо сохранившаяся флора в виде отпечатков листьев и окаменелой древесины. К сожалению, изучение растительных остатков годердзской свиты продолжает носить эпизодический характер. А между тем необходимость углубленных палеонтологических исследований для выяснения вопроса о возрасте и условиях образования рассматриваемой свиты едва ли подлежит сомнению. Поэтому при геологическом картировании в 1959—1969 гг. области развития годердзской свиты одним из авторов настоящей статьи (Д. Г. Джигаури) особое внимание было уделено и поискам новых местонахождений остатков фауны и флоры. В результате в озерных отложениях «собственно» годердзской свиты у развалин Хона (юго-западнее Ахалцихской депрессии) впервые были обнаружены ископаемые кости позвоночных, к сожалению не поддающихся определению, а на правом берегу р. Дзиндза — остатки растений [4]. Едва ли не наиболее существенным представляется, однако, находка в годердзской свите пород, содержащих споры и пыльцу (данные споро-пыльцевого анализа помещены в геологическом отчете Джавахетской ГСП за 1967—1970 гг., фонды Грузгеологии).

Как уже было нами указано [5], западнее Арсианского хребта, в истоках рек Чирухис-цкали и Схалта нижняя туфообломочная толща годердзской свиты наиболее полно представлена в своеобразной, отличающейся от ранее известной, фации, характеризующейся присутствием спор и пыльцы.

В образце, взятом в истоках р. Схалта (№1857 г), у подножья юго-западного склона г. Тетроби из рыхлой глинисто-туфовой массы, заполняющей промежутки между крупными обломками и глыбами основания концевой части базальтового агломератового потока, перекрывающего выветренную поверхность туфогенов среднего эоцена, обнаружены споры и пыльца следующих растений: *Asplenium*, *Polypodium*, *Pteris*, *Woodsia*, *Osmunda*, *Botrychium*, *Podocarpus*, *Abies*, *Tsuga*, *Picea*, *Pinus*, *Taxodiaceae*, *Gramineae*, *Salix*, *Alnus*, *Carpinus orientalis* Mill., *Fagus orientalis* Lipsky, *Castanea*, *Quercus*, *Chenopodiaceae*, *Nymphaeaceae*, *Liquidambar*, *Leguminosae*, *Rhus*, *Ilex*, *Acer*, *Ericaceae*, *Artemisia*, *Aster*, *Compositae*.

По тропе, ведущей из Гузлети в кочевку Дарчидзе, прослеживается пачка (9—11 м) тонкослойных базальных образований годердзской свиты, непосредственно перекрывающей размытую поверхность туфобрекчий среднего эоцена и состоящей из чередующихся прослоев (12—20 см) разноцветных туфопесчаников, микротуфоконгломератов, пелитовых туфов, разнозернистых песчаников, песчаных глин и песков с чешуями биотита, которые венчают коричневые микроконгломераты и оглинившиеся пестрые туфы. Эти породы отлагались в прибрежной части небольшого водоема в начале вулканической активности [5]. Здесь из прослоя песчаных глин со следами отпечатков листьев растений взят образец (№ 3043 а), содержащий споры и пыльцу следующих форм: *Bryales*, *Sphagnum*, *Polypodiaceae*, *Abies*, *Cedrus*, *Tsuga*, *Picea*, *Pinus*, *Taxodiaceae*, *Gramineae*, *Alnus*, *Carpinus*, *Fagus*, *Quercus*, *Acer*, *Polygonum*, *Chenopodiaceae*, *Compositae*.

Систематический состав этих спорово-пыльцевых спектров в достаточной мере свидетельствует о несостоятельности существующего мнения об их возможной рецентности [2], ибо в них нет ни одного таксона, который был бы характерен только для нынешнего растительного покрова Грузии и не отмечался бы на ее территории по меньшей мере с миоцена [6].

Наряду с таксонами, ранее уже известными во флоре годердзской свиты, в палинологическом комплексе представлено не мало и таких, которые впервые отмечаются в ископаемом состоянии на территории Южной Грузии: *Bryales*, *Sphagnum*, *Asplenium*, *Botrychium*, *Woodsia*, *Abies*, *Cedrus*, *Tsuga*, *Liquidambar*, *Polygonum*, *Chenopodiaceae*, *Compositae*, *Artemisia*, *Aster*, *Nymphaeaceae*.

Наибольший интерес представляет, пожалуй, находка в годердзской свите пыльцы *Podocarpus*, *Tsuga*, *Cedrus*, *Taxodiaceae* и *Liquidambar* — таксонов, ныне не встречающихся в растительном покрове Грузии. Естественные ареалы их в настоящее время на сотни километров отстоят от Кавказа. Областью развития рода *Podocarpus* являются горные районы тропической и субтропической Австралии, Южной Америки, Азии и Африки; тсуга образует леса и встречается в лесах Китая, Японии, Гималаев и Северной Америки; кедры дико растут в горах юга и востока Средиземноморской области и в Западных Ги-

малаях. Особенностью семейства *Taxodiaceae* является реликтовость всех девяти составляющих его родов. Ареалы большинства из них располагаются в пределах Восточной Азии и Северной Америки.

Хорошо известный в плиоценовых флорах Колхиды род *Liquidambar* в естественных условиях встречается ныне в растительном покрове Северной и Центральной Америки, Западной и Восточной Азии.

Несмотря на общность целого ряда таксонов приведенного палинологического комплекса и «листовой флоры» годердзской свиты, если их рассматривать в отдельности, может создаться впечатление, что они отражают состав двух различных флор. Различия между ними настолько существенны, что могли бы быть восприняты как возрастные, если бы все эти растительные остатки не относились к одной и той же свите. Действительно, таксономическое разнообразие вечнозеленых покрытосемянных растений, в особенности же богатство лавровыми, сближает годердзскую «листовую флору» с флорами мактровых «сарматских» слоев Средиземноморской области. В то же время почти полное отсутствие вечнозеленых цветковых при разнообразии хвойных и летнезеленых покрытосемянных умеренных поясов растительности в палинологическом комплексе наводит на мысль о соответствии его, скорее, средне- и даже верхнеплиоценовым флорам Западной Грузии. Поэтому естественнее допустить, что палинологический комплекс и «листовая флора» в значительной мере отражают здесь различие в составе растительности горных поясов — от высокогорных хвойных до лавровых лесов нижнего горного пояса.

Академия наук Грузинской ССР
Институт палеобиологии

Грузгеология

(Поступило 14.1.1977)

პალეობიოლოგია

დ. ჯილაური, ლ. ხელიძე, ბ. შარაშვილი

გოდერძის წყების პალეობიოლოგიური დახასიათებისათვის

რეზიუმე

გოდერძის წყების (ზედა მიოცენი — ქვედა პლიოცენი) კონტინენტურ ეფუზიურ ნალექებში, არსიანის ქედის დასავლეთ ფერდობზე, მდ. სხალტისა და ჭირუხისწყლის სათავეებში პირველად აღმოჩენილი პალეობიოლოგიური ნაშთები.

გოდერძის წყების სპოროვან-მტვრიანული კომპლექსისა და „ფოთლოვანი ფლორის“ შეპირისპირება გვიჩვენებს მთის სხვადასხვა სარტყელის მცენარეულობის არსებობას იმ დროში, მაღალმთიანი წიწვიანი ტყეებიდან მთის ქვედა სარტყელის ფოთლოვან ტყეებამდე, სადაც ჭარბობს *Lauraceae*-თა წარმომადგენლები.

D. G. JIGAUURI, L. T. CHELIDZE, B. D. KARASHVILI

ON THE PALYNOLOGICAL CHARACTERIZATION OF THE
GODERDZI SUITE

Summary

Spores and pollen of fossil plants were discovered for the first time in the Upper Miocene-Lower Pliocene continental effusive deposits of the Goderdzi suite (southern Georgia), on the western slope of the Arsiani range, in the upper reaches of the rivers Skhalta and Chirukhis-tskali.

Comparison of the pollen spectrum to the "foliated flora" of the Goderdzi suite shows that they reflect here a difference in the floral composition of the mountain belts ranging from the Alpine coniferous to laurel forests of the lower mountain belt.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. В. Я. Эдилашвили, Б. А. Канчели, Р. Д. Левинадзе, В. В. Гогоберидзе. Геологическое районирование Кавказа и проблемы крупномасштабной геологической съемки. Тбилиси, 1973.
2. М. Д. Узнадзе, Х. Н. Пурцеладзе, Е. А. Цагарели. Сообщения АН ГССР, 82, № 3, 1976.
3. Н. И. Схиртладзе. Постпалеогеновый эффузивный вулканизм Грузии. Тбилиси, 1958.
4. Л. Т. Челидзе. Сообщения АН ГССР, 53, № 1, 1969.
5. Д. Г. Джигаури. Проблемы геологии Аджаро-Триалетии. Тбилиси, 1974.
6. Каталог ископаемых растений Кавказа, т. 1—II. Тбилиси, 1973.

Л. Ш. ГЕГЕЧОРИ

АДЕКВАТНОЕ СООТНОШЕНИЕ ИНТУИТИВНОГО И СОЗНАТЕЛЬНОГО ОБУЧЕНИЯ КАК ОСНОВА ИНТЕНСИВНОГО СИСТЕМНО-СТРУКТУРНОГО МЕТОДА ОБУЧЕНИЯ ЯЗЫКАМ

(Представлено академиком Ш. В. Дзидзигури 9.1.1977)

Методическая система интенсивного курса обучения иностранным языкам взрослых разрабатывалась с учетом необходимости определения адекватного оптимального соотношения в использовании сознательного и интуитивного усвоения в процессе обучения иноязычной речи. При этом мы считаем, что реализация принципа сознательности, имеющая решающее значение в учебном процессе, предполагает, в первую очередь, такое включение действия в деятельность обучающегося, при котором его сознание занято смысловым содержанием речи. Вывод, к которому мы пришли по данному вопросу, можно сформулировать следующим образом: сознательный момент учебной деятельности, связанной с овладением иностранным языком, должен быть ведущим, в то время как интуитивному моменту придается подчиненный характер, хотя использование его должно быть соответствующим образом организовано и учтено. Реализация сознательного и интуитивного моментов в рассмотренном интенсивном курсе осуществлена на двух взаимосвязанных, но специфически различных этапах обучения, определяемых нами как циклы устной речи и межцикловые этапы языковой подготовки.

Введение межциклового этапа является тем новым, что принципиально отличает наш курс от других интенсивных курсов обучения. Межцикловой этап предполагает главным образом обучение языковым средствам и, на основе овладения ими, — формирование коммуникативных навыков у обучающихся. Необходимо подчеркнуть, что именно на этом этапе наиболее отчетливо реализуется принцип сознательности в обучении, поскольку основная цель межциклового этапа — дать соответствующую ориентировку и помочь обучающимся сознательно осмыслить те языковые явления (грамматические, фонетические и лексические), которые были восприняты ими главным образом интуитивно в коммуникативных актах циклов устной речи.

Самой существенной и характерной особенностью межциклового этапа, с точки зрения отбора учебного материала, является то, что межцикловое обучение не включает никакого нового дополнительного материала, отличного от того, который предьявлялся на протяжении циклов устной речи. Межцикловое обучение — это сознательное освоение исключительно того грамматического, лексического и фонетического материала, который воспринимался обучающимися в ходе коммуникативной деятельности, акцентированной не на формальной, а на содержательной стороне. Эта особенность межциклового обучения имеет важное психологическое содержание в плане сохранения повышенного мотивационного уровня у обучающихся, для которых сознательное

оперирование учебным материалом носит характер своеобразного обучения вещам близким и знакомым. При таком подходе обучающиеся открывают для себя логические закономерности структуры изучаемого языка, т. е. те скрытые механизмы, которыми они неоднократно практически пользовались на недостаточно осознываемом уровне. Кроме того, в результате осмысления структурных закономерностей иностранного языка и сознательной отработки языковых навыков обучающиеся, как показала практика, отчетливо ощущают процесс упорядочения и систематизации учебного материала, представленного ранее в их сознании бессистемно и хаотично, а это дополнительно убеждает их в результативности осуществляемой учебной деятельности.

Возвращаясь к вопросу о методической структуре межциклового обучения в нашем интенсивном курсе, следует отметить следующие структурные компоненты:

I. Грамматический комментарий, предусматривающий:

а) визуальное подкрепление в виде таблиц, рисунков, содержащих функциональные графические интерпретации грамматических категорий (типа: цвет — функция пассивного или активного залога);

б) фразеологические модели;

в) сопоставительный анализ на базе родного языка, основывающийся на принципе сознательно-сопоставительного метода, предложенного академиком Л. В. Щербой и развиваемого в работах И. В. Рахманова.

II. Система устных упражнений:

а) языковые (тренировочные);

б) речевые (творческие).

III. Лексикологический комментарий, предусматривающий сопоставление с родным языком.

IV. Ознакомление с формальной стороной монологической речи на базе специально составленных монологических текстов.

Что касается непосредственно методических приемов, используемых при межцикловом обучении, то следует выделить следующие элементы:

1) выполнение упражнений DRILL под руководством преподавателя,

2) субсенсорное подкрепление,

3) киноупражнения по аудиовизуальной системе,

4) работа в лингафонном классе с самокоррекцией,

5) самостоятельная работа над заданиями и др.

Говоря о межцикловом обучении, особое внимание следует уделить специально разработанному учебнику, представляющему собой неотъемлемую часть и органический компонент системы реализации учебной программы межциклового этапа языковой подготовки.

Этот учебник разрабатывался с учетом того положения, согласно которому учебное пособие в системе интенсивного курса должно соотноситься с педагогическим процессом совершенно иначе, нежели это имеет место в традиционном обучении. В данном случае мы имеем в виду то обстоятельство, что при традиционных формах обучения учебный процесс часто оказывается подчиненным структуре учебника. Интенсивный же курс, наоборот, предполагает подчиненность учебника этому процессу.

Разработанный нами межциклового учебник построен с учетом функционально-лингвистического принципа отбора учебного материала, предусматривающего как специфику системы языка, так и задачи коммуникации.

Монологические тексты построены на основе лексики учебных диалогов циклов устной речи, а в качестве действующих лиц в них фигурируют знакомые по этим циклам персонажи, сохраняющие свои индивидуальные особенности.

Грамматический комментарий межциклового учебника содержит подробное толкование грамматических категорий изучаемого языка, часто опирающееся на сопоставительный анализ с родным языком. Теоретический материал богато иллюстрирован специально составленными предложениями — моделями в виде смысловых речевых образцов, содержащих знакомую лексику.

Разработка основных методических принципов, способов и приемов обучения осуществлялась нами на базе принципиальных положений советской науки и последних достижений отечественной психологической, педагогической, методической и лингвистической школ. Поэтому следует подчеркнуть, что наш подход к основной проблеме интенсивного обучения носит комплексный и системный характер, а реализация сознательного и интуитивного моментов осуществляется, как нами было уже отмечено, на двух взаимосвязанных, но специфически различных этапах обучения — в циклах устной речи и межцикловым этапе языковой подготовки.

Тбилисский государственный университет

(Поступило 28.1.1977)

ენათმეცნიერება

ლ. გეგეჩკორი

ინტუიციური და შეგნებული სწავლების ადეკვატური შეფარდება როგორც ენების ინტენსიური სისტემურ-სტრუქტურული მეთოდით სწავლების საფუძველი

რეზიუმე

განხილულია ინტუიციური და შეგნებული სწავლების ადეკვატური გამოყენების შესაძლებლობა ენების ინტენსიური (სისტემურ-სტრუქტურული) მეთოდით სწავლებისას.

LINGUISTICS

L. Sh. GEGECHKORI

ADEQUATE CORRELATION BETWEEN INTUITIVE AND CONSCIOUS TEACHING AS THE BASIS OF INTENSIVE SYSTEM-STRUCTURAL METHOD OF TEACHING FOREIGN LANGUAGES

Summary

In the process of teaching foreign languages by the system-structural method the possibility of the use of optimum correlation between conscious and intuitive mastering of a foreign language has been ascertained.



ბ. ჯორბანაძე

ფორმანტთა იდენტიფიკაციის საკითხი ენაში

(წარმოადგინა აკადემიკოსმა შ. ძიძიგუძემ 12.1.1977)

1. ენობრივ მონაცემთა ფორმობრივი ანალიზის დროს ერთ-ერთი უმთავრესი საკითხთაგანია ფორმანტთა იდენტიფიკაცია.

იდენტიფიკაცია შეიძლება იყოს ფუნქციური და ფორმობრივი. ზოგადად ეს ასე წარმოისახება: ა) ფუნქციურად იდენტიფიკაცია -ებ (კაც-ებ-ი) და -ბ (კაც-ბ-ი) მრავლობითობის ფორმანტები; ბ) ფორმობრივად იდენტიფიკაცია ი- ვნებითისა (ი-ხატება) და ი- სათავისო ქცევის (ი-ხატავს) ფორმანტები.

საკითხს დიდი ხნის ისტორია აქვს, იდენტიფიკაციის პრინციპებიც ცნობილია. და მაინც ზოგი რამ გვაქვს დამატებით გასარკვევი და დასადგენი, რის გარეშეც, ვფიქრობთ, ენობრივი კვლევის ეს უმნიშვნელოვანესი საფეხური — იდენტიფიკაცია — შემდგომი უზუსტობის მიზეზი შეიძლება გახდეს.

ამჯერად ფორმობრივ იდენტიფიკაციაზე გვექნება საუბარი.

2. განვიხილოთ ფორმები: ა-კეთ-ებ-ს, ა-ღ-ებ-ს, ა-კლ-ებ-ს, ბად-ებ-ს, კრ-ებ-ს. ყველა მათგანში ხერხდება -ებ ელემენტის გამოყოფა. ამრიგად, გვაქვს მასალობრივ ერთი შედგენილობისა და პოზიციურად ერთნაირად განაწილებული (ასევე, გრამატიკულად თითქმის ერთი და იმავე ფუნქციის მქონე) ელემენტები. შესაძლებელია თუ არა მათი იდენტურ ფორმანტებად დასახვა? ვფიქრობთ, რომ არა. არ შეიძლება, რადგან ამ ფორმანტით წარმოებული ყველა ზემოხსენებული ფორმა ნაირგვარ ფორმობრივ სისტემაში შედის და, აქედან გამომდინარე, ფორმათწარმოებისა თუ სიტყვათწარმოების თვალსაზრისით ნაირგვარი ღირებულებების მქონეა. ეს უკვე უღვლილების სისტემითაც იგაჩნობა:

	I	II	III	IV	V
აწმყო:	ვ-ა-კეთ-ებ	ვ-ა-ღ-ებ	ვ-ა-კლ-ებ	ვ-ბად-ებ	ვ-კრებ
ნამ. ძირ.:	გავაკეთე	გავაღე	დავაკელ	დავბადე	ვკრიბე
I თურმ.:	გამიკეთებია	გამიღია	დამიკლია	დამიბადებია	შემიკრებია
II თურმ.:	გამეკეთებინა	გამეღო	დამეკლო	დამებადებინა	შემეკრიბა

თვალის ერთი გადავლებითაც ნათელია, რომ -ებ ფორმანტი ნაირგვარად მონაწილეობს პარადიგმათა წარმოებაში: იგი ხან მონაწილეობს I და II თურმეობითების წარმოქმნაში (I და IV რიგი), ხან არა (II და III რიგი), ხან კი მხოლოდ I თურმეობითისათვის არის საყრდენი (V რიგი). თუ გავიხსენებთ, რომ ძველ ქართულში (ახლა — ზოგიერთ დიალექტში) გვექონდა გამეკეთა, დამეებადა (II თურმეობითში), გამიღებო (I თურმეობითში), ასევე იმასაც, რომ დამიბადებია ფორმის პარალელურად იხმარება დამიბადია ფორმაც, აშკარა გახდება, რომ სხვაობა პარადიგმულ რიგებს შორის მეორეულია. მაგრამ ამჟამად ეს სხვაობა არის და, ვფიქრობთ, რომ იდენტიფიკაციის დროს მისი გათვალისწინება აუცილებელია.

ვაკლებ ფორმაში კლ ფუძე შეკუმშულია. კუმშვის გამომწვევი -ებ ფორმანტი ჩანს. ეს მაშინ, როდესაც -ებ ფორმანტს კუმშვის გამოწვევის ნაკლები უნარი შესწევს. ფორმათა შედარება ადვილად დაგვარწმუნებს ამაში:



ა-ქან-ებ-ს, მაგრამ: ა-ქნ-ევ-ს
გა-უ-ტან-ებ-ი-ა, „ „ გა-უ-ტნ-ევ-ი-ა (დიალექტური)

ამის მიხედვით შეუძლებელი აღმოჩნდება აქანებს ფორმაში დამოწმებულ-
ლი -ებ-ისა და აკლებს ფორმის -ებ-ის გაიგივება: მათ ნაირგვარი ფონეტიკური
ზემოქმედების უნარი აღმოაჩნდათ, თუმცა კი ორივე შემთხვევაში კუმშვად
(ანუ: კუმშვის თვისობის მქონე) ფუძეებს (კელ-, ქან-, ტან-) დაერთვიან.

3. საესებით განსხვავებულია კრებს ფორმის ჩვენება: აქ -ებ ფუძეს არის
მიხორციელებული და ამ სახით წარმოქმნილი ახალი ფუძე სხვა -ებ ფორმანტიან-
თაგან სრულიად განსხვავებულ თვისობას იძენს: ფუძეში ხდება ხმოვანმონაც-
ვლეობა (კრებს — კრიბა), რითაც I და II სერიის ფუძეები დაუპირისპირდნენ
ერთმანეთს. საერთოდ, საცნაურია ის ფაქტი, რომ ყველა -ე- შემადგენლობის
ფორმანტი ფუძესთან შერწყმას ესწრაფვის, ხოლო ამ სახით წარმოებულ ფუ-
ძეებს ხმოვანმონაცვლეობა ახასიათებს, როგორც წესი: ი-კვლ-ევ-ს → ი-კვლ-ი-
ძე-ი-; თვლ-ემ-ს → ჩა-ს-თვლ-იმ-ა; ა-წვ-ენ-ს → და-ა-წვ-ინ-ა... ზოგჯერ ფუძეს-
თან შერწყმის პროცესი ისე შორსაა წასული, რომ მხოლოდ სპეციალური დაკ-
ვირვებით ხერხდება ფუძეს მიხორციელებული ფორმანტის გამოყოფა: ცრ-ემ-ლი-ი,
მღრ.: ცრ-ი-(ს), ასევე: ცრ-ევ-ა...

სწორედ ამ ტიპის ფორმათა რანგში გადავიდა ორი -ებ ფორმანტიანი
ზმნაც: კრებს და ღღებს. კრებს ფორმაში რომ -ებ ისტორიულად გამოიყო-
ფრდა და თემის ნიშნის სტატუსი ჰქონდა, ამას ენის ერთი თვისების მიხედვით
გავარკვევთ. ამ თვისებას პირობითად ფლაგიტაციას ვარქმევთ, რაც ლათინურ-
რად „დაქინებით მოთხოვნას“ ნიშნავს. იგულისხმება ფორმანტთა შეხამების
დროს ფორმანტის უნარი ამოირჩიოს, შეითვისოს ერთნაირი ფუნქციის მქონე
ფორმანტთაგან მხოლოდ ერთი რომელიმე და უარყოს სხვა დანარჩენი. ასე, მა-
გალითად, ნამყო დროის ვნებით გვარის მიმღეობის წარმოებისას -ებ თემის
ნიშანი მხოლოდ -ულ სუფიქსს იკუთვნებს (გა-კეთ-ებ-ული-ი, ა-შენ-ებ-ული-ი...),
თუ -ებ არაა თემის ნიშანი, -ულ არ მიერთდება: ღებ-ავ-ს — შე-ღებ-ილ-ი...
კრებს ფორმა ამჯერად ამ ტიპის მიმღეობას -ილ სუფიქსით იწარმოებს (შე-
კრებს-ილ-ი), მაგრამ ძველ ქართულშივე დამოწმებული კრებულში ფორმა ამჟ-
ღავენებს იმას, რომ გარკვეულ პერიოდში ამ ფორმაში -ებ ფორმანტს თემის
ნიშნის სტატუსი ჰქონდა.

4. რა მივიღებ? ერთი და იმავე გენეზისის მქონე ფორმანტებმა ენაში
განვითარების შემდგომ საფეხურებზე ნაირგვარი ენობრივი სტატუსი შეიძი-
ნეს, მეტ-ნაკლებად დასცილდნენ ერთმანეთს თავისი ქმედებით. ამან განაპირო-
ბა მათი ნაირგვარი ღირებულება ფორმათწარმოებაში. სწორედ ამიტომაც ამჟ-
ღერად შეუძლებელი გავაიგივოთ -ებ აკეთებს ფორმაში და -ებ კრებს ფორ-
მაში, ასევე: -ევ ღღებს ფორმაში და -ევ ანგრევს ფორმაში, -ავ ცურავს ფორ-
მაში და -ავ იცურავა ფორმაში, -ენ ვიგრძენ ფორმაში და -ენ ადგენს ფორმაში.
თითოეულ ამ წყვილთაგანს საერთო აქვს მასალობრივი შედგენილობაცა და
პოზიციაც, განასხვავებს ერთი რამ — ფორმობრივი ქმედება... ასე რომ, ერ-
თი წარმომავლობის ფორმანტები ამჟამად ნაირგვარ ენობრივ სტატუსს გამო-
ხატავენ.

5. ფორმანტთა იდენტიფიკაციის დროს ფორმანტების ქმედების გათვა-
ლისწინება, ვფიქრობთ, პრინციპული საკითხია. აქ არა მხოლოდ ის იგულისხ-
მება, რაც ზემოთ უკვე იყო ნაჩვენები, არამედ ისიც, რომ ნაირგვარი ქმედება
ხშირად ნაირგვარი წარმომავლობის მათუწყებელიცაა და, ამდენად, დამხმარე
საშუალებაც ფორმათა მართებული კვალიფიკაციისათვის. ამის საჩვენებლად
გვახანალიხოთ კრთ-ი-ს, ჰრ-ი-ს და ღ-ი-ს ფორმები. ერთი შეხედვით ყველა
ეს ფორმა ერთგვაროვანი შენებისაა, ყველა მათგანში გამოიყოფა -ი სუფიქსი.
მაგრამ ნამყო უსრულის ჩვენება უთუოდ დაგვაჩვენებს ხსენებულ ფორმათა
ფორმობრივ იდენტურობაში:

	I	II	III
აწყო:	კრთ-ი-ს	ჰრ-ი-ს	ღ-ი-ს
ნამყო უსრ.:	კრთ-ილ-ა	ჰრ-ილ-ა	ღ-ილ-ა

ნამყო უსრულის ფორმანტებად I და III შემთხვევაში -ოდ გვაქვს, II შემთხვევაში -დ. მაგრამ სხვაობაა არა მხოლოდ მასალობრივ შედგენილობაში, არამედ ამოსავალი ფორმისადმი მიმართებაც ნაირგვარია: -დ მიერთვის -ი სუფიქსისა ფორმას (ჭრ-ი-ს → ჭრ-ი-დ-ა), -ოდ კი ჩაენაცვლება ხოლმე -ის (კრთ-ი-ს → კრთ-ოდ-ა). შევნიშნავთ: ჭრიდა ტიპის ფორმებისათვის ამოსავლად არ უნდა ივარაუდებოდეს -იდ*იანი (*ჭრ-ი-იდ-ა) ფორმა, რადგან, როცა ამის საჭიროება იყო, ორი ი თავისუფლად სძლებდა ერთმანეთის გვერდით (ჰმში-ი-ს, ვანაზნი-ი-ს...).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ნამყო უსრულისეული -დ'ს თვისობაა -ი ფორმანტზე მითვა, -ოდ'ისა კი ჩანაცვლება აწმყოსეულ -ი'სთან. გამოწკლისს ქმნის დი-ს → დი-ოდ-ა ფორმა: -ოდ კი არ ჩაენაცვლება, არამედ მიერთვის -ი ფორმანტს. ამის მიხედვით -ოდ თითქმის გაუტოლდა -დ ფორმანტს ქმედების თვალსაზრისით, მაგრამ უფრო დეტალური ანალიზი სულ სხვა გზით აგვახსენებინებს დი-ოდ-ა ტიპის ფორმათა არსებობას.

6. ფორმათა შეპირისპირების ტრადიციული პრინციპი თითქმის მხარს უნდა უჭერდეს დის ფორმაში -ი'ს გამოყოფას: ა-დენ-ს: ა-დინ-ა, დენ-ა და დი-ს ფორმები -ენ-ინ და -ი ფორმანტების არსებობას და, ამდენად, მათი გამოყოფის შესაძლებლობას ვარაუდობს. ერთადერთი, რაც ეჭვს იწვევს, ეს არის ფორმანტის ქმედება: დი-ს ფორმის -ი- სავესებით განსხვავებულად იქცევა სხვა ანალოგიური ფორმანტის მქონე ფორმებთან შედარებით.

7. საკითხის გასარკვევად გავაანალიზოთ შეპირისპირება:

დი-ს → მ-დინ-არ-ი (|| მ-დინ-არ-ე).

რამდენიმე მომენტის გახსენება დაგვჭირდება: ა) დინამიკური და სტატიკური ზმნები ქართულში ხშირად თავ-თავის სახელზმნებს იქონიებენ ხოლმე (აწუხებს—წუხება, შეწუხებული, მაგრამ: წუხს—წუხილი, მწუხარ...); ბ) დინამიკურ ზმნათა ნამყო ძირითადის ფუძე ხშირად ამოსავალი ხდება სტატიკური ზმნის აწმყოსათვის; გ) ენაში ხდება ფორმათა არა მხოლოდ ფუნქციური, არამედ ფორმობრივი დეტერმინირება...

დი-ს → მ-დინ-არ-ი იმავე რიგის ურთიერთობა ჩანს, როგორც ჩან-ს → მ-ჩინ-არ-ი. ეს უკანასკნელი ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებული ფორმებია: სტატიკურობის ფუნქციის მქონე ზმნას შეესატყვისება სტატიკურობის ფუნქციის მქონე მიმღობა: ე. ი. მათ შორის ფუნქციით დეტერმინირებული კვეთრი გვექონია. მაგრამ ხომ ივარაუდება მჩინარი ფორმისათვის რაღაც ფორმობრივ საყრდენი მონაცემებიც! ასეთი ფორმა უნდა ყოფილიყო ჩინ-ს და იგი (ჩან-ს ფორმის მნიშვნელობით) რეალურადაა დამოწმებული ხეისურულში [1]. ამრიგად, ჩინ-ს — მ-ჩინ-არ-ი რეალური მიმართებაა. ანალოგიური მიმართება უნდა ვივარაუდოთ საკვლევი ფორმებს შორისაც: *დინ-ს → მ-დინ-არ-ი, სადაც აღდგენილ *დინ-ს ფორმაში ფუძედ შესაბამისი მოქმედებითის II სერიის ფორმაა გამოყენებული (ა-დენ-ს → ა-დინ-ა → *დინ-ს, ისევე როგორც: ა-ჩენ-ს → ა-ჩინ-ა → ჩინ-ს). აქედან გამომდინარე, დი-ს ფორმის სეგმენტირება შეუძლებელია, -ი არ გამოიყოფა და ამაზე იმთავითვე მიგვიტოთა -ოდ ფორმანტის ქმედებამ. ეს კი ნიშნავს, რომ დი-ს ფორმაში დამოწმებული -ი- სულ სხვა რიგისაა, ვინემ ჭრ-ი-ს, კრთ-ი-ს ფორმებში დამოწმებული -ი.

8. ამჟამად ანალოგიურ პრინციპს ემყარება ჰ-ში-ა (ძვ.: ჰმშიის) — ჰ-ში-ოდ-ა ზმნაც, ძველ ქართულში დამოწმებულია რბი-ს → რბი-ი-ოდ-ა და ქრ-ი-ს → ქრ-ი-ოდ-ა ფორმებიც. მათი გენეზისი ასე გვესახება: ა) ა-მშევ-ს → და-ა-მში- (ვ)-ა → *მ-მშივ-ი-ს. საცნაურია ჰმშივა ფორმის არსებობა დიალექტებში, აგრეთვე მშვივად ფორმაც (—მშიერიდან)... ბ) ა-რბ-ევ-ს → ა-რბ-ი(ვ)-ა → *რბი-ვ-ს, ან: ა-რბ-ენ-ს → ა-რბ-ინ-ა → *რბინ-ს... *რბინ-ს ფორმაში, ისევე როგორც *დინ-ს ფორმაში -ნ ივარგვის იმავე საფუძველზე, როგორც: ჩან-ს → ჩან-ს, *დგან-ს → დგან-ს... გ) ა-(ნ)-ქრ-ევ-ს → ა-(ნ)-ქრ-ი(ვ)-ა → *ქრივ-ს... ამრიგად, ყველა ამ ფორმაში -ი- ფუძისეულია; ბუნებრივია, ქმედებაც განსხვავებული ექნებათ.

9. ახალი ქართულის **ჰ-ში-ა** → **ჰ-ში-ოდ-ა** იმავე რიგის ფორმებს უტოლდება, როგორებიცაა: **ყივ-ის** → **ყი-ოდ-ა**, **ჩხავ-ის** → **ჩხა-ოდ-ა**.

10. ძველ ქართულშივე არსებული **რბ-ოდ-ა**, **ქრ-ოდ-ა** ფორმები გადაზარიანების შედეგს არ წარმოადგენენ. ივარაუდება პარალელური ფორმების არსებობა: ***რბივ-ს** (***რბინ-ს**) — **რბ-ის**, ***ქრივ-ს** — **ქრ-ის**, ისევე როგორც გვექონდა **ტირ-ს** — **ტირი-ს**, ოღონდ უკანასკნელისაგან განსხვავებით სხვადასხვა ფუძე იყო გამოყენებული. რაც შეეხება **ცრ-ი-და** — **ცრ-ოდ-ა** ფორმებს, ისინი ფუძეციურად ლაბილური **ცრ-ი-ს** ზმნის დინამიკური და სტატიკური ვარიანტების ფორმოზოგი განსხვავების ცდას უნდა წარმოადგენდნენ (პირველი **ჭრ-ი-დ-ა** ფორმას გაჰყვა, მეორე — **კრთ-ოდ-ა** ფორმას).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(შემოვიდა 14.1.1977)

ЯЗЫКОЗНАНИЕ

Б. А. ДЖОРБЕНАДЗЕ

К ВОПРОСУ ИДЕНТИФИКАЦИИ ФОРМАНТОВ В ЯЗЫКЕ

Резюме

Для идентификации формантов дополнительно вводится принцип деяния формантов в системах формо- и словообразования.

LINGUISTICS

B. A. JORBENADZE

ON THE IDENTIFICATION OF FORMANTS IN A LANGUAGE

Summary

For the identification of formants the principle of the action of formants is additionally introduced in word-building and morphological formation systems.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. ა. ჭინჭარაული. ხევსურულის თავისებურებანი. თბილისი, 1961, 164—165.



ბ. კაზლავშილი

ინამ უზაიმერულის საკითხისათვის

(წარმოადგინა აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა 27.1.1977)

ქართული დიალექტოლოგიური კვლევა-ძიებების დღევანდელ დონეზე, როცა დიალექტთა არამართო სრულყოფილი შესწავლა, არამედ საკითხთა განზოგადება და ისტორიულ ასპექტში გაშუქება მთავარ ამოცანად ისახება, კვლევების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ობიექტს წარმოადგენს დიალექტთა კლასიფიკაცია.

როგორც ცნობილია, დიალექტთა გავრცელების ფარგლების დადგენა, განსაკუთრებით ისეთ ენობრივ არეალში, სადაც დიალექტები ინტენსიურად მოქმედებენ ერთმანეთზე, მეტად რთული საქმეა, იმდენად რთული, რომ ტრადიციული ლინგვისტური გეოგრაფია შეუძლებლადაც კი თვლიდა დიალექტთა გამოჩვენას.

ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ლინგვისტური გეოგრაფია მოწოდებულია ახლებურად დააყენოს საკითხები, სხვაგვარი კლასიფიკაცია მისცეს ადრე დადგენილ ცნებებს, შეიტანოს საჭირო ცვლილებები დიალექტთა არსისა და მათი მიმართების საკითხის გარკვევაში.

კილოთა კლასიფიკაციის საკითხი არაერთხელ ქვეულა მსჯელობის საგნად ქართულ დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში. ამჟამად აღიარებულია დიალექტთა კლასიფიკაციის ლინგვისტური პრინციპი. ამ პრინციპის მიხედვით ა. შანიძე ქართულში ექვს დიალექტურ ჯგუფს გამოყოფს. დასავლურ ჯგუფში აერთიანებს იმერულს (ზემო-, შუა- და ქვემოიმერულს), გურულსა და რაჭულს. მისი აზრით, იმერულთან ახლოს არის ლეჩხუმური, გურულთან — იმერული, ზემორაჭული რჩება დასავლურ კილოთა სისტემაში, მაგრამ თავისი არქაული ნიშნებით უახლოვდება მთიულურ-ფშაურ ჯგუფს ([1], 830).

ქართულ კილოთა კლასიფიკაციის საკითხს მიეძღვნა შ. ძიძიგურის შრომა [2], სადაც ავტორი გამოყოფს დიალექტთა ხუთ ძირითად ჯგუფს, დასავლურ კილოთა ერთი ჯგუფი წარმოდგენილია ზემოიმერულის, ქვემოიმერულისა და ქვემორაჭულის სახით, ხოლო მეორე ჯგუფი — გურულის, აჭარულისა და იმერზეგულის სახით.

როგორც ამ კლასიფიკაციიდან ჩანს, ა. შანიძე იმერულში სამ კილოკავს გამოყოფს, ხოლო შ. ძიძიგური — ორს.

აზრთა სხვადასხვაობა იმერული დიალექტის კილოკაური დიფერენციაციის შესახებ დღემდე გრძელდება. საკამათოდაა ქვეული შუაიმერულის საკითხი. მკვლევართა დიდი ნაწილი მას ცალკე დიალექტურ ერთეულად გამოყოფს. ამ კილოკავში აერთიანებენ მაიაკოვსკის, ტყიბულის და თერჯოლის რაიონების მცხოვრებთა მეტყველებას.

ჩვენ შემთხვევა გეგმონდა მოსაზრება გამოგვეთქვა აღნიშნულ საკითხზე და ეპვის ქვეშ დაგვეყენებინა შუაიმერულის ცალკე დიალექტურ ერთეულად გამოყოფის შესაძლებლობა.

„ექვს კი შუაიმერულს ისეთი საერთო თავისებურებები, რომლებიც მას საკუთარ ადგილს მიაკუთვნებდა ზემოიმერულსა და ქვემოიმერულს შორის? ქართული ენის ამ დიალექტის მეცნიერული შესწავლის შედეგად დღესდღეობით მიღებული დასკვნები და ცოცხალ მეტყველებაზე ჩვენი უშუალო დაკვირვება უფლებას არ გვაძლევს, შუაიმერული ცალკე კილოკავად გამოვეყოთ და ამით იგი ზემოსა და ქვემოიმერულს გავეუთანაბროთ. შუაიმერულის ცალკე დი-

ალექტურ ერთეულად გამოყოფა მიზანშეწონილად ჩაითვლებოდა მხოლოდ მაშინ, თუ შუაიმერული თავისი თავისებურებებით ისევე დაუპირისპირდებოდა ზემოსა და ქვემოიმერულს, როგორც ეს უკანასკნელები უპირისპირდებიან ერთმანეთს“ ([3], 220).

შემდეგში ქ. ძოწენიძემ სპეციალური გამოკვლევაც უძღვნა ამავე საკითხს [4], სადაც იგი აანალიზებს შუაიმერულ კილოკავად მიჩნეულ თერჯოლის, ტყიბულისა და მიაკოვსკის რაიონების მცხოვრებთა მეტყველებას, განსაზღვრავს შემჩნეულ თავისებურებათა ხასიათს და განიხილავს მათ საერთო იმერულთან მიმართებაში.

ამგვარად ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული ფაქტებით ქ. ძოწენიძეს შესაძლებლობა მიეცა დაედგინა ფონეტიკურ და გრამატიკულ თავისებურებათა სრული კომპლექსი, რომლითაც განისაზღვრება შესასწავლი ობიექტების დიალექტური პროფილი, და გამოიტანა დასკვნა, რომ შუაიმერულ კილოკავად მიჩნეულ თერჯოლის, მიაკოვსკისა და ტყიბულის რაიონების მცხოვრებთა მეტყველებაში ზემოიმერული კილოკავის ნიშნებიც გვხვდება და ქვემოიმერულსაც.

საკითხი თითქმის გარკვეულია. ე. წ. შუაიმერულის ცალკე დიალექტურ ერთეულად გამოყოფა მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება მხოლოდ მისი ნარევი შემაღვენლობის გამო.

მიუხედავად ამისა, ამ ბოლო დროს ზოგი მკვლევარი საკითხის არასპეციალური განხილვისას ქართული ენის სხვა დიალექტურ ერთეულებს შორის კვლავ ასახელებს შუაიმერულს, რაც არ მიგვაჩინა მართებულად.

ცხადია, ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ქართული დიალექტოლოგიური მეცნიერებების განვითარების დღევანდელ დონეზე, როცა დიალექტთა საკლასიფიკაციო პრინციპები ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის დადგენილი [5], როცა ქართული ლინგვისტური გეოგრაფია თავის პირველ ნაბიჯებს დგამს და ამის გამო ნაკლები წარმოდგენა გვაქვს ენის ლინგვისტურ ლანდშაფტზე, შესაძლებელი იყოს დიალექტთა და დიალექტურ მოვლენათა ზუსტი საზღვრების დადგენა, მაგრამ დღემდე მოპოვებული მასალების საფუძველზე სხვაგვარი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. დასკვნა კი ემყარება არა მხოლოდ განსხვავებათა უბრალო აღრიცხვას (ცხადია, იგი სწორ შედეგამდე ვერ მიგვიყვანდა), არამედ თავისებურებათა ხასიათის გარკვევას და იმ მიმართებათა დადგენას, რაც საკვლევი ობიექტის დიალექტურ ერთეულებს შორის არსებობს.

შუაიმერულად მიჩნეული რაიონების მცხოვრებთა მეტყველებას თერჯოლური უნდა გამოეყოს როგორც გარდამავალი დიალექტური ერთეული (შდრ. [6], 260). ასეთი კვალიფიკაცია მისთვის ნაადრევი არ იქნება, თუ გავითვალისწინებთ ყველა იმ ჩვენებას, რასაც ის გვაძლევს მეზობელ დიალექტურ ერთეულებთან მიმართებაში.

თერჯოლური მეტყველება ნარევი შედგენილობისაა. მასში თავს იყრის ორი კილოკავის თავისებური მოვლენები — ზემოიმერულისა და ქვემოიმერულის ([7], 160).

მომიჯნავე კილოკავეების ფონეტიკურ და გრამატიკულ თავისებურებათა ეს შერევა საფუძველს ქმნის მერყევი თავისებურებათა წარმოქმნისა და პარალელურ ფორმათა გავრცელებისა და დამკვიდრებისათვის. თერჯოლურისათვის, როგორც გარდამავალი ზოლის მეტყველებისათვის, ფორმათა დიდი მრავალფეროვნებაა დამახასიათებელი. ორივე კილოკავის თავისებურ მოვლენათა ერთობლივი ასახვა ნარევი ხასიათსაც ანიჭებს მას და აქ წარმოდგენილ ცილილებსაც ცოცხალ, მიმდინარე პროცესებად წარმოგვიდგინს.

დავასახელებთ რამდენიმე შემთხვევას:

მო ზმნისწინის ხმოვნითი ელემენტი ზემოიმერულში დისიმილაციური ხასიათის ცვლილებას განიცდის მომდევნო მ ბგერის წინ: მაამშორდი, მაამეწონა, მაამკლა და ა. შ. ქვემოიმერულში ასეთ ცვლილებას ადგილი არ აქვს. მა ამ პოზიციაში ან თავისი ძირითადი სახითაა რეალიზებული; მოამშორდი, მოამკლა, მოამჭრა... ან ე-დ არის ქვეული: მემეწონა, მემეკლა, მემეტანა და მისთ.

თერჯოლურში შეზავებულია ქვემოიმერულისა და ზემოიმერულის ვითარება. აქ გავრცელებულია როგორც ქვემოიმერულისათვის დამახასიათებელი მომკლა, მომიტანა, მემექცა, მემენატრა... ისე ზემოიმერულისათვის ნიშანდობლივი მამჭრა, მამკლა, მამცა ფორმები.

ასევე, ო ხმოვნის რეალიზაცია არტიკულაციაში მერყევ ხსიათს ატარებს ისეთ შემთხვევებში, როგორცაა მოუტანა, მოუვიდა, მოუყვანა, მოუგონა, მოუარა და სხვ. ასეთ პოზიციაში ო ხან თავისი ძირითადი სახესხვაობით წარმოგვიდგება, ხან მომდევნო უ ხმოვნის ასიმილაციური ზეგავლენის შედეგად უ-დ იქცევა: მუუტანა, მუუყვანა, მუუგონა, მუუყარა და ა. შ.

პირველ შემთხვევაში ზემოიმერულის ვითარებაა ასახული, მეორე შემთხვევაში — ქვემოიმერულისა.

პარალელურ ფორმათა სიუხვე უფრო გრამატიკულ მხარეში ვლინდება.

მე-3 სუბიექტური პირის ნიშნად გარდამავალ ზმნებთან ქვემოიმერულში ენ სუფიქსია წარმოდგენილი, ზემოიმერულში — ეს. თერჯოლურში ორივე ნიშანი თანაბარი უფლებით სარგებლობს. ერთი და იმავე პირის მეტყველებაში ერთმანეთის გვერდით ვხვდებით როგორც ეს, ისე ენ სუფიქსს: ყაჩაღები მასინათვე შე იპყრენ, შე უკრეს ხელები, პირში ბამბები ჩო უღვენ და გზას გოუყენეს...

სტატიკურ ზმნათა აწმყოს მე-3 პირის მრავლობითი რიცხვის წარმოებისას თერჯოლურში ზემოიმერულის ნორმაც მოქმედებს და ქვემოიმერულისაც: გავრენ, მოჩარენ, დგარენ ფორმების პარალელურად აქ დადასტურებულია ქვემოიმერულის დგალარიენ, ზილარიენ, წუხლარიენ, მოჩალარიენ და მისთ.

ასევე, ერთპირიანი გარდაუვალი ზმნები თურმეობით პირველში ხან ქვემოიმერულისებურად გვხვდება: გადარეულარიენ, წასულარიენ, ყოფილარიენ, ხან კიდევ — ზემოიმერულისებურად: გადარეულენ, წასულენ, ყოფილენ და მისთ. [7].

ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა აქვე იმის აღნიშვნაც, რომ ჩვენი პირადი დაკვირვების საფუძველზე თერჯოლური მეტყველების სპეციფიკას ფონეტიკურ ნაწილში უფრო ქვემოიმერულის ნიშნეულებათა სიჭარბე ქმნის (თუ საერთო შთაბეჭდილების მიხედვით ვიმსჯელებდით), ხოლო გრამატიკულ ნაწილში — ზემოიმერულისა.

მკვეთრად გამოვლენილ პარალელურ ფორმათა წარმოების მხრივ თერჯოლური მნიშვნელოვნად განსხვავდება ტყიბულისა და მაიაკოვსკის რაიონების მცხოვრებთა მეტყველებისაგან, სადაც ფონეტიკური და გრამატიკული ხასიათის ცვლილებები გაცილებით უფრო დამდგარ ხასიათს ატარებს, ამის გამოც მიგვაჩნია მიზანშეუწონლად მათი ერთ კილოვადა გაერთიანება ზემოიმერულისა და ქვემოიმერულის საპირისპიროდ, რომ არაფერი ვთქვათ ნიშანდობლობათა ხასიათზე და იმ თავისებურებებზე, რასაც ტყიბულისა და მაიაკოვსკის რაიონების მცხოვრებთა მეტყველება ავლენს, ერთი მხრივ თერჯოლურისა და მეორე მხრივ, ერთიმეორესა და საერთო იმერულთან მიმართებაში. თავისებურებათა ამგვარი ანალიზი კი მათი დამოუკიდებელ თქმებად გამოყოფის საკითხს სვამს.

ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

(შემოვიდა 28.1.1977)

ЯЗЫКОЗНАНИЕ

К. М. КУБЛАШВИЛИ

ЕЩЕ РАЗ О СРЕДНЕИМЕРЕТИНСКОМ ГОВОРЕ

Резюме

На основе данных грузинской диалектологической литературы и наблюдений над живой речью установлено, что смешанный характер т. н. среднеимеретинской речи недостаточен для выделения ее в само-

стоятельный говор. Вывод опирается на анализ характера имеющих-ся особенностей и их взаимоотношений с общеимеретинским диалектом.

LINGUISTICS

K. M. KUBLASHVILI

ONCE AGAIN ON THE MIDDLE-IMERETIAN DIALECT

Summary

The evidence on the immediate observations of every-day speech and data found in Georgian dialectological literature indicate that it is not advisable to isolate Middle Imeretian as a separate dialect only on the basis of its mixed composition. This conclusion is based on the study of the peculiarities of the dialect in question and on the establishment of the relations existing between the Common Imeretian and the dialectal units of the Middle Imeretian.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. А. Г. Шанидзе. Труды объединенной научной сессии Академии наук СССР. Баку, 1957.
2. Ш. В. Дзидзигური. Тезисы диссертации на степень кандидата наук АН СССР. М., 1935.
3. კ. კუბლაშვილი. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIX. ქუთაისი, 1959.
4. ქ. ძოწენიძე. მაცნე, № 3, 1967.
5. ა. მარტიოსოვი. ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის. თბილისი, 1972.
6. ქ. ძოწენიძე. ზემოიმერული კილოვაკი. თბილისი, 1973.
7. შ. ძიძიგური. ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი. თბილისი, 1970.

ნ. კილაძე

იბნ რუშდისა და იოანე პეტრიწის ზოგიერთი ტერმინის
 ერთბაშეაბრუნების შესახებ

(წარმოდგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა კ. წერეთელმა 1.9.1976)

შუასაუკუნეების ორი დიდი წარმომადგენლის იბნ რუშდისა და იოანე პეტრიწის ნაზრების გაერთიანება შეიძლება პრობლემური ერთბაშეაბრუნების საფუძველზე. იგი მდგომარეობს ბერძნული ფილოსოფიის რელიგიის ენაზე გადმოცემაში. ვარაუდობენ, რომ „ancilla historia“ ეწოდება ნასესხები სიტყვების შედარებით შესწავლას ([1], გვ. 8), რაც აფართოვებს წარმოდგენას ხალხთა ცივილიზაციასა და კულტურაზე ([2], გვ. 64). ამიტომ ფილოლოგიური კვლევის შედეგად ფილოსოფიური ტერმინების შესატყვისების დადგენას შეიძლება ეწოდოს „ancilla philosophia“. ცნობილია, რომ ბერძნული ფილოსოფიური ენის სიმდიდრე ერთის მხრივ ნეგატიურ მოვლენადაც ითვლება ([3], გვ. 162). მაგრამ იგივე თვისება მეორეს მხრივ, განაპირობებს მის პოზიტიურობას — ბერძნული ფილოსოფიური ტერმინების შესატყვისები წარმოადგენენ სხვა ენების ფილოსოფიური ლექსიკონის ძირითად ნაწილს. ამდენად, ქვემოჩამოთვლილი იბნ რუშდისა და იოანე პეტრიწის ბერძნულ-არაბულ-ქართული ეკვივალენტები მნიშვნელოვანი არაბულ-ქართული ფილოსოფიური ტერმინებია, რომელთაც საზიარო ბერძნული შესატყვისები აერთიანებენ. სწორედ საზიარო ტერმინების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ბერძნულ-არაბული და ბერძნულ-ქართული ეკვივალენტების ერთმანეთთან შედარება. შედარებისას შეიმჩნევა, რომ იოანე პეტრიწი „ენამზე ბერძნულის“ ღრმა მცოდნე და პატივისმცემელი ზოგჯერ უფრო ზუსტია და შესაბამისად დაზღვეულია იმ შეცდომებისაგან, რომელიც, როგორც აღინიშნება, იბნ რუშდს მოსდის ბერძნული ენის უცოდინარობის გამო. საფიქრებელია, რომ გამოთქმულ აზრს დამატებითი განმარტებების გარეშეც გამოავლენს ქვემოწარმოდგენილი ტერმინების ცხრილი, რომელიც ეყარება ეკვივალენტების ამსახველ სპეციალურ ლიტერატურას ([4], გვ. 608—667; [5]; [6]; [7], გვ. 11; [8], გვ. 136, 138; [9], გვ. 129—229; [10], გვ. 177—228).

1. ἄκρως — ἄ — კიდური — Eng. concept, extreme, term.
2. ἀληθῆς — حقيقي — ჭეშმარიტი, უზადო — L. veritas; Eng. certain reality; G. Urwesenheit.
3. ἀλλοίωσις — استحالة — შეცვალვა — L. alteratio.
4. ἀναλογία — قياس — რაბამობა — L. analogia; Eng. inference; F. référence.
5. ἀντιθέσις — مقابل — წინაგამწყო — Eng. opposite; F. contraire.
6. ἀποδείξις — برهان — აღმოსაჩენი, აღმოჩენა — L. demonstratio, argumentatio.

7. ἄτοπος — محال — უჯერო — Eng. absurd, impossible.
8. ἀφαίρεσις — تنزیه — განყრა — Eng. removal.
9. γένεσις — كون — ქმნა(ა) — L. generatio.
10. διαίρεσις — استثناء — განყოფა — Eng. disjunction.
11. διάστασις — بعد — მიდმო განწვალება, განსაზიდი (განზიდეა) — Eng. dimension, extension.
12. διάφορος — فصل — განყოფილი — L. differentia; Eng. specific difference.
13. δόξα, δοξαστός — ظن, ظنى — თნება, თნებითი ძალა — Eng. opinion, estimation; F. présumee.
14. δυνάμις, τὸ δυνάμει ὄν — قوة, بالقوة — ძალი, ძალითად მყოფი — L. potentia, in potentia.
15. ἐναντίος — ضد — წინმეწყეე — L. contrarium.
16. ἐντελέχεια — كمال — შემასრულებელი — L. entelechia, perfectio.
17. ἐπόμενος — تالى, تابع, لاحقة — შერგომილი, მიდევენებული, თანმყოლი — Eng. consequent, implicate, concomitants.
18. ἡγεμονικός — مدير — მთავრებრივი — Eng. directive.
19. ἰδιότης — خاصية, تخصيص — თვითება — Eng. differentiation, individuation, property; G. Unterscheidung.
20. κρίσις — حكم — ბჭობა — Eng. judgment.
21. μετασχεῖν, μετέχων — مشترك, شارك, شريك — ზიარება, მზიარებელი, თანმეჭონე — Eng. association, equivalence, partnership with the Deity.
22. μονάς — وحدة — მხოლოობა — L. unitas; Eng. oneness.
23. πάθημα, παθητός, πάθος — اثر, مؤثر — საენო (ქმნილი), ვნებადი, ვნება — L. impressio, Eng. affection, cause-effect.
24. πράγμα — امر — საქმე — პრალმა(ა) — Eng. fact, thing.
25. προαίρεσις, προαιρέα, προελέμμενος — اختيار, مختار — წინაღმრჩეველი (წინაღრჩევა) — Eng. choice.
26. ροπή — ميل — თანმიწამვა — Eng. inclination.
27. στερησις — عدم — მოკლება — L. privatio; Eng. non-existent.
28. συγγενής — متناسبة — თანტომი — Eng. correlative.
29. συγκατάθεσις — تصديق, تحقيق — თანდართვა — L. assensus.
30. σύνθεσις — تركيب — თანშეკვრა, თანთხზვა — Eng. combination.
31. ὑποκείμενος — موضوع — ქუემდებარე, წინამდებარე — L. subjectum, suppositum.
32. φθαρτός — فاسد — ხრწნადი — Eng. corruptible.
33. χωριστός — مفارق — განყენებული, განშორებული — Eng. separate, separable.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(შემოვიდა 28.1.1977)

Н. В. КИЛАДЗЕ

О СОПРИРОДНОСТИ НЕКОТОРЫХ ТЕРМИНОВ ИБН РУШДА
И ИОАННА ПЕТРИЦИ

Резюме

Средневековые мыслители сталкивались с проблемой передачи греческой философии на языке религии. Это оправдывает сравнение философских терминов, используемых Ибн Рушдом и Иоанном Петрици. Со своим безупречным знанием греческого языка, или «языка—солнца» как он его называет, Иоанн Петрици подчас бывает более точным и следовательно допускает меньше ошибок, чем Ибн Рушд, познания которого в греческом языке были, как известно, недостаточны. Выше-сказанное иллюстрируется с помощью таблицы арабо-грузинских терминов, объединенных греческими соответствиями.

PHILOLOGY

N. V. KILADZE

ON THE HOMOGENEITY OF THE TERMS USED BY IBN RUSHD
AND IOANE PETRITSI

Summary

Medieval thinkers were faced with the problem of rendering Greek philosophy in the language of religion. This justifies the comparison of the philosophical terms as used by Ibn Rushd and Ioane Petritsi. With his perfect command of Greek or the "language of the Sun", as he styled it, Petritsi is at times more precise, and hence makes fewer errors than Ibn Rushd who as is known lacked knowledge of Greek. This is illustrated with the help of a table of Arabic and Georgian terms juxtaposed with their Greek counterparts.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. Laslo Antal. Questions of meaning. Budapest. 1963.
2. Э Леви-Провансаль. Арабская культура в Испании. М., 1967.
3. Encyclopaedia Britannica, London, 1969, v. XIV.
4. Bibliotheca Arabica Scholasticorum, Serie Arabe. Tome III. Averroès. Tahafot at-Tahafot ou "Incoherence de l'Incoherence", Texte Arabe, établi par Maurice Bouyges. S. J., Beyrouth, 1930.
5. Averroes, Tahafut al-Tahafut (The Incoherence of the Incoherence), Translated from the Arabic with introduction and notes by Simon Van Den Berg, volumes I—II, London, 1954.
6. A Philosophical Lexicon in Persian and Arabic by Soheil M. Afnan. Beirut, 1969.
7. Widersprüche Philosophie nach al-Gazzali und ihr Ausgleich durch Ibn Rosd von Tjitze De Boer. Strassburg, 1894.
8. Materialien zur Kunde des Buddhismus Herausgegeben von Dr. M. Walleser, 13 Heft, Lexikon... von Dr. M. Horten, Heidelberg, 1928.
9. იოანე პეტრიჭის შრომები, ტომი I (ქართული ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სიმ. ყაუხჩიშვილმა). თბილისი, 1940.
